უნივერსიტეტი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი

№5 2011

„ფიზიკა დიდი ადრონული კოლაიდერის ეპოქაში“

საერთაშორისო კონფერენცია – „ფიზიკა დიდი ადრონული კოლაიდერის ეპოქაში“ თბილისში წელს მეექვსედ ტარდება. ამჯერად მისი ორგანიზატორი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტია.

”როდესაც საქართველოში დიდი გაჭირვების წლები იდგა, აღმოჩნდა ხალხი, რომლებიც მიხვდნენ, რომ იზოლაცია დამღუპველი იქნებოდა. სწორედ, ამიტომ გადაწყდა ფუნდამენტურ მეცნიერებათა მიმართულებით ჩატარებულიყო კონფერენცია, რათა ამ დარგში მოღვაწე მეცნიერებს საშუალება მისცემოდათ წარმოედგინათ საკუთარი ნამუშევრები და, ამასთან, გასცნობოდნენ მსოფლიო მიღწევებს. დღევანდელ კონფერენციაზე სხვადასხვა ქვეყანაში და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციაში მოღვაწე ფიზიკოსები კითხულობენ საკუთარ შრომებს უახლეს მიღწევებზე. ეს არის პატარა აღლუმი ქართული ფიზიკის, კერძოდ, მაღალი ენერგეტიკის ფიზიკისა და, ზოგადად, ფუნდამენტალური მეცნიერების. ამ კონფერენციაზე ქართველი ფიზიკოსები ახდენენ იმის დემონსტრირებას, თუ სად ვართ ჩვენ და სად არის სამყარო,” - ასე აფასებს საერთაშორისო კონფერენციას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის მრჩეველი საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის საკითხებში და CERN-ში და დუბნის საერთაშორისო ორგანიზაციაში მოღვაწე ქართველი მეცნიერების კოორდინატორი ჯემალ ხუბუა.

მაღალი ენერგიების ფიზიკის მომავალ პერსპექტივებთან დაკავშირებული კონფერენცია თსუ-ში 17 ოქტომბერს დაიწყო და 21 ოქტომბრამდე გაგრძელდება, სადაც მონაწილეობას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან ერთად CERN-ში, დუბნის და სხვა ევროპულ სამეცნიერო ცენტრებში მოღვაწე უცხოელი და ქართველი მეცნიერები იღებენ.

გაგრძელება მე-2 გვ.

სტუდენტური არჩევანი

3 ოქტომბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ახალი სასწავლო წელი დაიწყო, ახალი სასწავლო წელი - ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ჩარიცხული 4200 პირველკურსელით. საზეიმო ღონისძიება ახლადგარემონტებული პირველი კორპუსის ბაღში გაიმართა, სადაც სტუდენტებს სწავლის დაწყება თსუ-ის რექტორმა ალექსანდრე კვიტაშვილმა, ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა და აკადემიურმა პერსონალმა მიულოცა. საგანგებოდ მოწვულმა განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა კი სტუდენტებს „გაუმხილა“, რომ ისინი „ყველაზე მაგარ უნივერსიტეტში“ იწყებენ სწავლას.

ყველაზე წარმატებულებს უნივერსიტეტში სიურპრიზები ელოდათ: ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგებით ყველაზე მაღალრეიტინგული 24 პირველკურსელი განათლების სამინისტრომ, თსუ-მ, პარტნიორმა კომპანიამ „ჯეოსელი“ და თსუ-ის თვითმმართველობამ სადაზღვეო კომპანია „IC Group“-თან ერთად დაჯილდოვა. ყველა ფაკულტეტის ყველაზე მაღალი რეიტინგის მქონდე სტუდენტს საჩუქრად პერსონალური კომპიუტერი ერგო.

გაგრძელება მე-2 გვ.

ოკუპაციური თერაპია - ადამიანის თვითრეალიზაციისთვის შექმნილი პროფესია

თსუ საქართველოში პირველი უმაღლესი სასწავლებელია, რომელმაც ოკუპაციური თერაპიის საბაკალავრო პროგრამა დანერგა.

გვ. 2

მსოფლიოს ქვეყნების აუდიტორიები თსუ-ში – პოლონეთი

გვ. 4

პერუს ექს-პრეზიდენტი თსუ-ის საპატიო დოქტორია

გვ. 2

გერმანულ-ქართული პროექტი თსუ-ისა და კავკასიისთვის

უახლოეს ხანში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფსიქოტრავმის კვლევისა და რეაბილიტაციის მიმართულებით საერთაშორისო ღონის საუნივერსიტეტო კურიკულუმის დანერგვა იგეგმება. აღნიშნული ნოვაციის გამო სახელმწიფო უნივერსიტეტმა კავკასიაში, შესაძლოა, ამ სფეროში რეგიონული სასწავლო ცენტრის როლი შეასრულოს.

გვ. 3

შემოდგომის ლეგენდა

„უბედურები ვართ. აქ ყველა ასეა. როცა ნავით ზღვაში გავდივარ მე თვალებს ვიხვევ. ანიკი მარჯვენა ხელს მარჯვნივ, მარცხენას კი, მარცხნივ გადაყოფს. მუჭით წყალს იღებს და თვალებზე ისხამს. ანიკის სტკივა.

როცა ვიღვიძებთ, ჩემი ძმის თვალებს ვხედავ. ორი პატარა ლიფსიტა წამწამებს უჭამს.

მგონია, ვიძირებით.

წყალში ვხტები. ნავის თოკს კისერზე ვიბამ და ნაპირისკენ მივცურავ.

„როდის დავიხრჩობი? როდის დავიხრჩობი?“ ვეკითხები ჩემს თავს და ნიკაპს ქვიშას ვუხახუნებ.

* * *

ახლა ნამდვილად უბედური ვარ. თვალებზე ზღვის წყალს ვისხამ, მერე ნიჩბებს ვყრი და წყალში გავდივარ. თოკს კისერზე ვიბამ. ნავში მარტო ვარ.

უბედური ვარ, ანიკის გარეშე. ანიკის გარეშე! – ვიმეორებ“.

ეს სევდიანი ტექსტი 2010 წლის ლიტერატურული კონკურსის „შემოდგომის ლეგენდის“ „წლის აღმოჩენის“ – თამარ ფოლადაშვილის ნაშრომიდანაა. ასე უპასუხა მან დავალებას სახელწოდებით „შაქრის გარეშე“, რომელიც გასულ წელს ფინალური, იმპროვიზირებული ტურის მონაწილეებმა მიიღეს. კონკურსს ნამდვილად არ ჰქონია ისეთი სევდიანი დასასრული, როგორც მოთხრობას. „როგორც ჩემი ძმა ანიკი“ გასულ წელს საუკეთესოდ დასახელდა. სპეციალურ პრიზთან ერთად გამარჯვებულმა სამეულმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფულადი პრემია და კომპანია „ჯეოსელის“ სამახსოვრო საჩუქრები მიიღო.

წელს ლიტერატურული კონკურსი თსუ-ისა და კომპანია „ჯეოსელის“ ორგანიზებით უკვე მესამეჯერ გამოცხადდა. *გაგრძელება მე-2 გვ.*

სტუდენტური არჩევანი

პირველი გვერდიდან



სანდრო ყიფიანი დაჯილდოვებულთა შორის ყველაზე მაღალრეიტინგულია – 2246 ქულით იგი თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე ჩაირიცხა. სანდრომ ილია ვეკუას სახელობის 42-ე სკოლის შემდეგ, რომელიც წარმატებით დაამთავრა, არჩევანი თსუ-ზე გამიზნულად გააკეთა. ამბობს, რომ დარწმუნებულია, რომ აქ მაღალი დონის სწავლაა და კაგი განათლების მიღება შეიძლება. უნივერსიტეტთან დაკავშირებულ სურვილებს მოკლედ აყალიბებს: „მინდა გავხდე ჩემი საქმის კარგი პროფესიონალი, მივიღო ცოდნა, შევიძინო ახალი მეგობრები და ახალი შთაბეჭდილებებით დავტოვო უნივერსიტეტი“ - ამბობს იგი.

ნინო მესხიძემ რუსთავის №4 საჯარო სკოლა დაამთავრა და 2220,8 ქულით თსუ ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტზე ჩაირიცხა. არჩევანის თსუ-ზე შეჩერებას ასე ხსნის: „თსუ მაღალრეიტინგულია, პრესტიჟულია. ეს არის პირველი უნივერსიტეტი საქართველოში, რომელსაც ყველაზე დიდი გამოცდილება აქვს. როგორც ვიცი, თსუ-ს მრავალი ნიჭიერი ახალგაზრდა დაუყენებია წარმატების გზაზე და, იმედი მაქვს, რომ მომავალშიც წარმატებით განახორციელებს ამ საქმეს. მე ვფიქრობდი, რომ აქ ყველანაირი პირობა იქნებოდა შექმნილი უმაღლესი განათლების მისაღებად და ჩემმა იმედმაც გაამართლა. მე ვიცნობ თსუ-ის რამდენიმე კურსდამთავრებულს, რომლებიც კმაყოფილები არიან აქ მიღებული განათლებით. ისინიც დამეხმარნენ ამ გადაწყვეტილების მიღებაში.“

არჩევანის გასაკეთებლად თავისი არგუმენტები ჰქონდა ***ნინო გაბრიჭიძეს***, რომელიც ერთიან ეროვნულ გამოცდებში მოპოვებული 2217,3 ქულით სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ჩარიცხულთაგან ნომერ პირველი აღმოჩნდა: „თსუ-ში ჩაბარებას დიდი ხანია ვგეგმავდი, რადგან, ჩემის აზრით, ეს საუკეთესო უნივერსიტეტია საქართველოში. არის ორგანიზაციული პრობლემები, რომელთა გამოც კერძო უნივერსიტეტებს არჩევენ, თუმცა არა მგონია ამ სასწავლებლებში ზედმეტი ფულის ხარჯვა ღირდეს. თსუ-ში საკმაოდ მაღალკვალიფიციური ლექტორები არიან და, მონდომების შემთხვევაში, აქ არანაკლებ განათლებას მიიღებ. დამატებითი ფული კი, უმჯობესია, საზღვარგარეთ კვალიფიკაციის ამაღლებას მოვახმაროთ. ასევე, აღსანიშნავია, რომ მრავალი წარმატებული ადამიანი საქართველოში თსუ-ს კურსდამთავრებლია და მსურს მომავალში მეც შევუერთდე მათ რიცხვს. საერთაშორისო ურთიერთობის მეცნიერებას ვსწავლობ და ეს დარგი, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, თსუ-ში ყველაზე ძლიერად ისწავლება“, - ამბობს ნინო.

ომარ ნიშნიანიძემ თბილისის 179–ე საჯარო სკოლა დაამთავრა. ის დღეს თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტია. მისი სკოლიდან ბევრმა ჩააბარა თსუ–ში, მაგრამ მასზე რეიტინგული (2201,1 ქულა) არავინ არ არის. ომარი ამბობს, რომ მის არჩევანზე რამდენიმე ფაქტორმა მოახდინა ზეგავლენა: „თსუ საქართველოში პირველი უნივერსიტეტია. რაღა თქმა უნდა, აქ მისი გახსნის თარიღიც იგულისხმება, თუმცა პირველობაში მის ტრადიციულობასა და სწავლის მაღალ ხარისხსაც ვგულისხმობ. თსუ-მ უამრავი მსოფლიო მნიშვნელობის პერსონაც გამოზარდა, რომლებიც არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მსოფლიოს მეცნიერებაშიც მნიშვნელოვან როლს თამაშობენ. თსუ საქართველოში დღესაც ყველაზე ავტორიტეტულია, გადასახადი დაბალია, ჩავარდნების მიუხედავად, მაინც ინარჩუნებს პირველობას, არის ბევრი გაცვლითი პროგრამა“.

იურიდიული ფაკულტეტის ყველაზე მაღალრეიტინგული პირველკურსელის ***დავით აბესაძის*** არჩევანზე კი, პირველ რიგში, ძმის რჩევამ იმოქმედა – ძმაც თსუ იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი იყო. ამას გარდა, ის ფიქრობს, რომ: „თსუ აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რაც მაქვს და რაც მება, თუმცა პირველობაში მის ტრადიციულობასა და სწავლის მაღალ ხარისხსაც ვგულისხმობ. თსუ-მ უამრავი მსოფლიო მნიშვნელობის პერსონაც გამოზარდა, რომლებიც არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მსოფლიოს მეცნიერებაშიც მნიშვნელოვან როლს თამაშობენ. თსუ საქართველოში დღესაც ყველაზე ავტორიტეტულია, გადასახადი დაბალია, ჩავარდნების მიუხედავად, მაინც ინარჩუნებს პირველობას, არის ბევრი გაცვლითი პროგრამა“.

იურიდიული ფაკულტეტის ყველაზე მაღალრეიტინგული პირველკურსელის ***დავით აბესაძის*** არჩევანზე კი, პირველ რიგში, ძმის რჩევამ იმოქმედა – ძმაც თსუ იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი იყო. ამას გარდა, ის ფიქრობს, რომ: „თსუ აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რაც მაქვს და რაც ჩემს (იურიდიულ) ფაკულტეტს სჭირდება. თუ თეორიის სწავლა გინდა, მაშინ თსუ ყველას სჯობს. თუ მოინდომებ და ისწავლი, აუცილებლად მიიღებ შედეგს“. – ამბობს დავითი.

ნია ხაჩიძეს კი, რომელიც მედიცინის ფაკულტეტზე 2131 ქულით ჩაირიცხა, მიაჩნია, რომ თსუ-ის სამედიცინო ფაკულტეტი “კარგ კონკურენციას უწევს სამედიცინო უნივერსიტეტს“: „ჯგუფებში ცოტა ხალხია, არის გაცვლითი პროგრამები, სწავლის დონე მაღალია, პერსპექტიულია, საზღვარგარეთ აღიარება აქვს“ – ასე ასაბუთებს არჩევანის თსუ-ზე გაკეთებას. ნია ელის, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი პროფესიონალად ჩამოყალიბების საშუალებას მისცემს.

პერუს ექს-პრეზიდენტი თსუ-ის დოქტორია

“არ გაჩერდეთ და არ შეგაშინოთ თქვენმა მეზობელმა. მათი ქვეყნის სიდიდეს მათივე კორუფცია მოერევა. მათ ტანკებს და გემებს კორუფცია დაამარცხებს. მსოფლიოს საუკეთესო იარაღი თავისუფლებაა” – ეს სიტყვები პერუს ყოფილმა პრეზიდენტმა, სტენფორდის უნივერსიტეტის დოქტორმა ალეხანდრო ტოლედომ თსუ-ის სტუდენტებთან შეხვედრაზე წარმოთქვა.

პროფესორი თსუ-ს 1 ოქტომბერს სტუმრობდა. თბილისის სახელმწიფო უნივერიტეტის სტუდენტებისათვის მან წაიკითხა ლექცია თემაზე “დემოკრატიას არ აქვს ეროვნება და ადამიანის უფლებებს არ აქვს ფერი”. აქვე გაიმართა დოკუმენტური ფილმის - “დანიშნულ დროს: გზა დემოკრატიისკენ” ჩვენება.

მანმადე კი თსუ-ის აკადემიურმა საბჭომ პერუს ყოფილ პრეზიდენტ ალეხანდრო ტოლედოს პერუს რესპუბლიკასა და საქართველოს შორის ურთიერთობის დამყარებისა და განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის თსუ-ის საპატიო დოქტორის წოდება მიანიჭა.

სტენფორდის უნივერსიტეტის დოქტორი ალეხანდრო ტოლედო 2001–2006 წლებში პერუს რესპუბლიკის პრეზიდენტი იყო. პრეზიდენტად არჩევამდე დოქტორი კონსულტანტად მუშაობდა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში, ასევე გაეროსა და მსოფლიო ბანკში.

„ფიზიკა დიდი ადრონული კოლაიდერის ეპოქაში“

პირველი გვერდიდან

ქართველ მეცნიერთა CERN-თან თანამშრომლობით და UNESCO-ს დაფინანსებით ფუნდამენტური მეცნიერებების სფეროში საქართველოში უკვე არაერთი კონფერენცია ჩატარდა. პირველი კონფერენცია მაღალი ენერგიების ფიზიკაში – “ფიზიკა მომავალ კოლაიდერებზე” თბილისში 2001 წელს გაიმართა, რის შემდეგაც მეცნიერები დიდი ადრონული კოლაიდერის ამოქმედებამდე (2009) ყოველ 2 წელიწადში ერთხელ იკრიბებოდნენ. 2001, 2003 და 2005 წლების კონფერენცია მეცნიერებათა აკადემიის ეგიდით ტარდებოდა, 2007 წელს კი, საერთაშორისო კონფერენცია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ორგანიზებით ჩატარდა.

CERN-ში მოღვაწე ქართველი ფიზიკოსებმა ირაკლი მინაშვილმა, ვახტანგ ქართველიშვილმა და სოფო პატარაიამ კონფერენციაზე ისაუბრეს ექსპერიმენტ ”კოლაიდერში” ქართული ჯგუფების როლზე და იმ წვლილზე, რომელიც მსოფლიო მნიშვნელოვნის პროექტში ქართველმა მეცნიერებმა შეიტანეს.

”ამგვარი კონფერენციები მნიშვნელოვანია, რადგან ვსაუბრობთ და ვისმენთ ჩვენი კოლეგების მიღწევებს, რაც მეცნიერებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.” – განაცხადა CERN-ში ატლას დეტექტორის ტაელ კალორიმეტრის მართვის და მომსახურების ჯგუფის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა ირაკლი მინაშვილმა ჩვენთან საუბარში.

ოკუპაციური თერაპია – ადამიანის თვითრეალიზაციის ხელშეწყობისთვის შექმნილი პროფესია

ადამიანის ბუნებრივი მოთხოვნილებაა გარემოსთან ურთიერთობა და საკუთარი თავის რეალიზაცია, მაგრამ შეიძლება სხვადასხვა მიზეზის გამო (ბავშვთა ცერებრული დამბლა, ზურგის ტვინის დაზიანება, დეპრესია, იძულებით გადაადგილება და ა.შ.), მან ვერარ მოახერხოს დამოუკიდებლად ცხოვრება, ჩვეული აქტივობები და საკუთარი როლის შესრულება. ამ საკითხების გადაჭრაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ოკუპაციური თერაპია, რომელიც უშუალო დამაკავშირებელია რეაბილიტაციის პროცესისა ადამიანის რეალურ, ყოველდღიურ ცხოვრებასთან. თსუ საქართველოში პირველი უმაღლესი სასწავლებელია, რომელმაც ოკუპაციური თერაპიის საბაკალავრო პროგრამა დანერგა.

ამ პროცესს წინ საკმაოდ სერიოზული მოსამზადებელი სამუშაო უძღოდა. ”ოკუპაციური თერაპია ადამიანის ჯანმრთელობის და კეთილდღეობის ხელშეწყობისთვის შექმნილი პროფესიაა, რომელიც თერაპიის პროცესში იყენებს ადამიანისთვის ღირებულ და ასაკის შესაბამის ოკუპაციას ანუ საქმიანობას, აქტივობას. ოკუპაციური თერაპიის მიზანი ადამიანის შესაძლებლობების სტიმულირება და გარემოს მორგებაა ისე, რომ გაიზარდოს დამოუკიდებელობის ხარისხი, შეძლოს საკუთარი თავის რეალიზება და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობა.” – ასე განმარტავს პროგრამის მნიშვნელობას თსუ-ის ოკუპაციის თერაპიის პროგრამის კოორდინატორი ნინო რუხაძე. ის თავად არის საქართველოს უმაღლეს სასწავლებელში პირველად ამ პროგრამის დანერგვის ერთ-ერთი ინიციატორი.

ამ პროფესიის დანერგვა 2003 წელს პროექტის სახით დაიწყო. ბავშვთა ნევროლოგიისა და ნეირორეაბილიტაციის ცენტრის და ოკუპაციური თერაპია უმაღლეს განათლებაში ევროპული ქსელის (ENOTHE) ერთობლივი პროექტის ფარგლებში (Tempus, MP-JEP 23154-2002) ევროპელი სპეციალისტების მიერ საქართველოში მომზადდა ოკუპაციური თერაპევტების მცირე ჯგუფი. ამ პროფესიის საქართველოში დანერგვის მიზნით, იგივე ჯგუფი ევროპელ პედაგოგებთან ერთად ჩაერთო ოკუპაციური თერაპიის თანასწავლების პროცესში. ასე მომზადნენ ოკუპაციური თერაპიის პედაგოგები, რომლებიც დღეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს ასწავლიან. 2004 წელს დაფუძნდა საქართველოს ოკუპაციურ თერაპევტთა პროფესიული ასოციაციაც. დღეს ასოციაცია არის ENOTHE -ს, ევროპული ქვეყნების ოკუპაციურ თერაპევტთა საბჭოს (COTEC) და ოკუპაციური თერაპევტების მსოფლიო ფედერაციის (WFOT) ასოცირებული წევრი.

ოკუპაციური თერაპიის საბაკალავრო პროგრამის დანერგვა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2006-2007 სასწავლო წელს დაიწყო. საქართველოში მხოლოდ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მედიცინის ფაკულტეტზე ჩარიცხულ სტუდენტებს შეუძლიათ აირჩიონ ოკუპაციური თერაპიის სპეციალობა მომავალ პროფესიად. ამ პროგრამის სწავლა 4-წლიანია, შესაბამისად 2010 წელს უნივერსიტეტს ოკუპაციური თერაპევტების პირველი გამოშვებაც ჰყავდა. ოთხი სტუდენტიდან მხოლოდ ორმა დაასრულა ბაკალავრიატი წარმატებით და ორივე სტუდენტი დასაქმებულია არასამთავრობო ორგანიზაციაში, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებთან მუშაობს.

როგორც ნინო რუხაძე აღნიშნავს, მიმდინარე წელს ოკუპაციური თერაპიის საბაკალავრო პროგრამას უფრო მეტი სტუდენტი დაამთავრებს. სხვათა შორის, სტუდენტთა დიდი ნაწილი უკვე დასაქმებულია დღის თუ რეაბილიტაციის ცენტრებში და სხვადასხვა პროექტში.

”ოკუპაციური თერაპევტები მუშაობენ ყველა ასაკის ადამიანთა ჯგუფებთან: ჩვილებთან, ბავშვებთან, მოზარდებთან, ზრდასრულ და ხანდაზმულ ადამიანებთან. სამუშაო ადგილები შეიძლება მოიცავდეს: საავადმყოფოს, კლინიკას, დღის და რეაბილიტაციის ცენტრს, შინ ზრუნვის პროგრამას, საბავშვო ბაღს, სკოლას, საწარმოს. ოკუპაციური თერაპევტები ასევე ეწევიან კერძო პრაქტიკას და მუშაობენ კონსულტანტებად. ამ სამუშაო ადგილებთან შედარებით საქართველოში სპეციალისტების რაოდენობა ძალიან მცირეა. დღესდღეისობით საქართველოში მხოლოდ 25 დიპლომირებული ოკუპაციური თერაპევტია. ასე რომ, დარგი საკმაოდ პერსპექტიულია.” - ამბობს ნინო რუხაძე.

ოკუპაციური თერაპიის საბაკალავრო პროგრამის ავტორები თვლიან, რომ მათი მთავარი ამოცანა ქვეყნისათვის მეტი პროფესიონალის მომზადებაა. იმის გამო, რომ ოკუპაციური თერაპია თანაბრად ითავსებს, როგორც სამედიცინო, ასევე სოციალური მეცნიერებების ფარგლებში დაგროვებულ ცოდნას, რექტორის ალექსანდრე კვიტაშვილის მხარდაჭერით იგეგმება ოკუპაციური თერაპიის სამედიცინო და სოციალურ-პოლიტიკური მეცნიერების ფაკულტეტთაშორის მიმართულებად ჩამოყალიბებას. შესაბამისად, სპეციალობის არჩევა თსუ-ს მეტ სტუდენტს შეეძლება, მათ შორის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტიდანაც. ასევე მომავალში დაგეგმილია სამაგისტრო პროგრამის მომზადება და დანერგვა.

გერმანულ-ქართული პროექტი თსუ-ისა და კავკასიისთვის

უახლოეს ხანში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფსიქოტრავმის კვლევისა და რეაბილიტაციის მიმართულებით საერთაშორისო დონის საუნივერსიტეტო კურიკულუმის დანერგვა იგეგმება. აღნიშნული ნოვაციის გამო სახელმწიფო უნივერსიტეტმა კავკასიაში, შესაძლოა, ამ სფეროში რეგიონული სასწავლო ცენტრის როლი შეასრულოს.

კურიკულუმი თსუ-ისა და მისი უძველესი პარტნიორის, იენის შილერის სახელობის უნივერსიტეტის ერთობლივი პროექტია. სასწავლო კურსი ფსიქოტრავმის დიაგნოსტირებისა და თანამედროვე ფსიქოთერაპიული მეთოდების სწავლებას მოიცავს.

ფსიქოლოგ თეა გოგოტიშვილის შეფასებით, რომელიც საქართველოში საუნივერსიტეტო კურიკულუმის მომზადება-დანერგვის პროექტის ხელმძღვანელია: "აღნიშნული კურსის აკადემიურ სფეროში დანერგვა უაღრესად მნიშვნელოვანია კავკასიაში, სადაც ომებისა და სტიქიური უბედურებების შედეგად გამოწვეული ფსიქოტრავმატიზაციის ფაქტები და სამომავლო რისკები ერთობ აქტუალური თემაა. გარდა ამისა, ხშირად ფსიქოტრავმირების მიზეზი შესაძლოა ნებისმიერი ადამიანის ცხოვრებაში საყვარელი ადამიანის უეცარი გარდაცვალებაც გახდეს. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ფსიქოტრავმის დარგში კვალიფიციური სპეციალისტების მომზადებაზე ზრუნვა, რომელთაც აღნიშნულ სფეროში საერთაშორისო დონის აკადემიური განათლება ექნებათ. პროგრამა ახლა ყალიბდება, ამ მიმართულებით განათლების მიღება საქართველოს არც ერთ უნივერსიტეტში არ ხდება. არსებობს რეალური პერსპექტივა იმისა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა კავკასიაში რეგიონული სასწავლო ცენტრის როლი შეასრულოს და დისტანციური სწავლება განახორციელოს სომხეთისა და აზერბაიჯანის უნივერსიტეტებისათვის."

იდეა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ გაჩნდა. დ. უზნაძის სახელობის საქართველოს ფსიქოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი ირაკლი იმედაძე ფსიქოლოგიური მეცნიერების საერთაშორისო გაერთიანების (IUPsyS) პრეზიდენტს რაინერ სილბერაიზენს დაუკავშირდა – ომის მსხვერპლთა დასახმარებლად ერთობლივი პროგრამის შემუშავების ინიციატივით.

სილბერაიზენი ამავდროულად იენის უნივერსიტეტის განვითარების ფსიქოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელია. საერთო ძალისხმევის შედეგად, საერთაშორისო სასერტიფიკაციო შეხვედრების ("ვორქშოფების") ციკლის ორგანიზების იდეა გაჩნდა. "ვორქშოფები" თემაზე: "ფსიქოტრავმა. კვლევა და რეაბილიტაცია" ყოველწლიურად ტარდება. მისი პირველი ორი ეტაპი გერმანიაში ჩატარდა, მესამე – 2011 წლის 2-8 ოქტომბერს თბილისში გაიმართა. შეხვედრებში მონაწილეობდნენ ფსიქოტრავმის საერთაშორისო ექსპერტები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან და კავკასიელი ფსიქოლოგები. თბილისში ჩატარებული "ვორქშოფში", რომლის მიზანს უკვე ფსიქოტრავმის კვლევასა და რეაბილიტაციის თემაზე აკადემიური კურიკულუმის მომზადება წარმოადგენდა, თსუ-ის ფსიქოლოგიის მიმართულების ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტებიც მონაწილეობდნენ.

კურიკულუმის თსუ-ში დანერგვის იდეა პროფესორ რაინერ სილბერაიზენს ეკუთვნის. კონკრეტული ვადები ზაფხულში განისაზღვრება. პროექტის პარტნიორები IUPsyS (International Union of Psychological Science) da CADS (Centre for Applied Developmental Studies) არიან.

როგორც თეა გოგოტიშვილი ამბობს, კურსის შესავალი სავარაუდოდ საბაკალავრო დონეზე დაინერგება, მომზადება სამაგისტრო პროგრამა. საუბარია ასევე ამ მიმართულების დოქტორანტურაში შეტანაზეც. სწავლებას ის ფსიქოლოგები ჩაატარებენ ვინც IUPsyS-ისა და იენის უნივერსიტეტის ეგიდით ორგანიზებული სპეციალური მომზადების სერტიფიცირებული კურსები გაიარეს.

ვაჟა ფშაველა 150

28 სექტემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვაჟა-ფშაველას დაბადებიდან 150 წლისთავი გამოფენითა და სიმპოზიუმით აღნიშნეს. ღონისძიებათა ორგანიზატორები თსუ-ის მუზეუმი და შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი იყვნენ.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო მწერლისადმი მიძღვნილი ფერწერული, გრაფიკული და სკულპტურული ნამუშევრები, რომლებიც თსუ–ის მუზეუმშია დაცული. ხელოვნების ეს ნიმუშები მხატვრებმა და მოქანდაკეებმა უნივერსიტეტს უანგაროდ უსახსოვრეს ვაჟა-ფშაველას დაბადებიდან 100 წლის იუბილეზე. განახლებული და აღდგენილი კოლექცია საზოგადოების წინაშე წელს პირველად გამოიფინა.

გამოფენის პარალელურად ჩატარდა სიმპოზიუმი სახელწოდებით – «მითოსური აზროვნება, ფოლკლორი და ლიტერატურული დისკურსი. ევროპული და კავკასიური გამოცდილება».

ღონისძიების ფარგლებში გაიმართა ამირან არაბულის წიგნის «ვაჟკაცობისას ამბობენ» პრეზენტაცია, ვაჟა-ფშაველასადმი მიძღვნილი ფოტოგამოფენა, ასევე ექსკურსიები უცხოელი მონაწილეებისათვის თბილისსა და მცხეთაში.

სიმპოზიუმს მსოფლიოს 18 ქვეყნის 134 მონაწილე: ამერიკის, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, გერმანიის, რუმინეთის, ჩეხეთის, რუსეთის, უკრაინის, ბალტიისპირეთის სახელმწიფოების წამყვანი სამეცნიერო და სასწავლო ცენტრების წარმომადგენლები დაესწრნენ.

სიმპოზიუმის საზეიმო დახურვა პირველ ოქტომბერს ჩარგალში, ვაჟა-ფშაველას სახლ-მუზეუმში გაიმართა. იუნესკომ 2011 წელი ვაჟა-ფშაველას წელიწადად გამოაცხადა.

შემოდგომის ლეგენდა

პირველი გვერდიდან

"თუ ხარ შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული, თუ გიყვარს ლიტერატურა – შენი უნივერსიტეტი და კომპანია „ჯეოსელი" გთავაზობთ ლიტერატურულ კონკურსს. წელს კონკურსანტებს ლოპოტას ტბაზე ელიან. მწვანე მარმარილოს ზედაპირი ბევრ საიდუმლოს ფარავს. გაატარეთ შემოდგომის ორი დაუვიწყარი დღე ლოპოტაზე, გააცოცხლეთ თქვენი ლიტერატურული გმირები და გააცანით ისინი მთელ საქართველოს". – ამ მიმართვის აღრესატები 2011 წელს თსუ-ის გარდა უკვე 8 სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები არიან. ესენია: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი; ილიას სახელობის უნივერსიტეტი; შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი; თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორია; საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტი; აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სამხატვრო აკადემია, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი; სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი. იყალთოსა და ყვარლის შემდეგ კონკურსის დასკვნითი ეტაპი ამჯერად ლოპოტაზე ჩატარდება. კონკურსის სლოგანი „მწვანე მარმარილოს საიდუმლოა". ნაწარმოებების გამოგზავნა 23 ოქტომბრამდე იყო შესაძლებელი – შესაბამისად დღეიდან ჟიური შემოსულ ნაშრომებს გადახედავს და ფინალური ტურის საგზურს 15 საუკეთესოს მისცემს. კონკურსს როგორც შარშან, წელსაც სამი გამარჯვებული ეყოლება. თხუთმეტი ახალბედა მწერალი 3-4 ნოემბერს ლოპოტას ტბაზე იმპროვიზირებულ ტურში მიიღებს მონაწილეობას. 2011 წლის გამარჯვებულიც სწორედ აქ გამოვლინდება.

თსუ-ის გუნდი – საერთაშორისო ინტერნეტ-ოლიმპიადის სუპერფინალში

უკვე მეოთხე წელია, ისრაელის არიელის უნივერსიტეტის თაოსნობით, წელიწადში ორჯერ საერთაშორისო მათემატიკური ინტერნეტ-ოლიმპიადა ტარდება. მასში მონაწილეობის მიღება ნებისმიერ მსურველ გუნდს ადგილიდან შეუძლია. თსუ-ის გუნდი, რომელიც ზუსტ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის სტუდენტებისგან იყო დაკომპლექტებული, ინტერნეტ ოლიმპიადაში მონაწილე ერთადერთი ქართული გუნდი აღმოჩნდა.

ინტერნეტ ოლიმპიადის სუპერფინალი წელს პირველად ჩატარდა, მასში მონაწიოელობის მისაღებად მონაწილეები ისრაელში ჩავიდნენ. სუპერფინალში მონაწილე გუნდები ბოლო ორი წლის განმავლობაში ჩატარებული ოლიმპიადის გამარჯვებულთაგან შეირჩა. სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელ 19 გუნდში თსუ-ის გუნდი ერთ-ერთი ლიდერის როლში აღმოჩნდა. ბაკალავრიატის ხუთი სტუდენტისაგან დაკომპლექტებულმა გუნდმა (ნიკა სალია, ბექა ერგემლიძე, ალექსანდრე ლომიძე, მიხეილ მებონია, შოთა გარუჩავა) ბოლო ორი წლის განმავლობაში ოქროს, ვერცხლის და ბრინჯაოს მედლების მოპოვება შესძლო.

18-23 სექტემბერს გამართულ სუპერფინალში კი თსუ-ის გუნდმა 4 ბრინჯაოს და ერთი სიგელის მოპოვება, გუნდურ შეჯიბრში მე-5 ადგილის დაკავება შესძლო.

ქართულ-ფრანგული სამედიცინო კონფერენცია

1-2 ოქტომბერს თსუ-ში ფრანგული საუნივერსიტეტო ჰოსპიტალის იტიე-შალპეტრიერე-ის, თსუ სამედიცინო ფაკულტეტისა და ნეოროლოგ მ. ჩიქვილაძის ინიციატივით ფრანგულ–ქართული საერთაშორისო სამედიცინო-სამეცნიერო კონფერენცია გაიმართა. ქართული მხრიდან კონფერენციის თანაორგანიზატორთა შორის იყვნენ ასევე აკად. სარაჯიშვილის სახ. ნეოროლოგიის ინსტიტუტი, საქართველოს ნეოროლოგთა და ნეიროქირურგთა ასოციაცია, საქართველს ინსულტის კავშირი.

კონფერენციის თემა "სალპეტრიერის დღეები თბილისში: კლინიკური ნეირომეცნიერების თანამედროვე მიღწევები" გახლდათ. მასში მონაწილეობა მიიღეს სალპეტრიერის კლინიკის წამყვანმა ნეიროქირურგებმა და ნეირომეცნიერებმა და მათმა ქართველმა კოლეგებმა. კონფერენციის მსვლელობისას დაიგეგმა თსუ მედიცინის ფაკულტეტისა და პარიზის უნივერსიტეტ V (University of Paris V) მედიცინის ფაკულტეტებს შორის თანამშრომლობის გაღრმავება.

ჩეჩნური წიგნის პრეზენტაცია

12 ოქტომბერს თსუ-ში ჩეჩნური ენის შესახებ პირველი ქართული წიგნის პრეზენტაცია გაიმართა. წიგნის "ჩეჩნური ენა" ავტორია ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კავკასიოლოგიის ინსტიტუტის პროფესორი როსტომ ფარეულიძე. წიგნი ჩეჩნური ენის სტრუქტურას ეხება. მასში განხილულია ჩეჩნურის ფონეტიკა, მორფოლოგია და ძირითადი სინტაქსური მოვლენები. "ჩეჩნური ენა" როგორც სამეცნიერო, ისე პრაქტიკული დანიშნულებისაა და ჩეჩნური ენით დაინტერესებული ფართო აუდიტორიისთვისაა განკუთვნილი. მას თან მოკლე ქართულ-ჩეჩნური ლექსიკონი ახლავს. წიგნის პრეზენტაციას საქართველოში ჩეჩნური დიასპორის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ.

კიოლნის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულთა დაჯილდოება

13 ოქტომბერს თსუ-ში კილონის სამაგისტრო პროგრამის „LL.M zu Köln" კურსდამთავრებულთათვის დიპლომების გადაცემის საზეიმო ცერემონიალი გაიმართა. პარალელურად აღ ინიშნა ასევე სამაგისტრო პროგრამის მეოთხე 2011-2012 სასწავლო წლის ნაკადის გახსნა. კიოლნის სამაგისტრო პროგრამა სახემწიფო უნივერსიტეტში 2007 წლიდან ხორციელდება. იგი სამართლის ბაკალავრის ხარისხის მქონე, გერმანულის მცოდნე სტუდენტებისთვისაა განკუთვნილი. პროგრამის ამოქმედების დღიდან კიოლნის "LL.M zu Köln" მაგისტრის ხარისხი თსუ-ის უკვე ოცდაერთმა სტუდენტმა მიიღო. ღონისძიებას თსუ-ის რექტორი ა.კვიტაშვილი, იურიდიული ფაკულტეტის დეკანი ი.ბურდული, პროგრამის ხელმძღვანელი პროფესორი კარმენ შმიდტი, DAAD-ის გერმანული აკადემ იური ურთიერთგაცვლის სააგენტოს ხელმძღვანელი და გერმანიის საელჩოს წარმომადგენლები დაესწრნენ.

თანამშრომლობის მემორანდუმი სკოლებთან

29 სექტემბერს ქ. რუსთავის №24 საჯარო სკოლაში გასული წლის მათემატიკისა და ფიზიკის კონკურსში გამარჯვებული სკოლის მოწაფეების დაჯილდოების ცერემონია გაიმართა. ცერემონიის შემდეგ თსუ-სა და ქ. რუსთავის №24 საჯარო სკოლასა და კერძო სკოლა "მილენიუმს" შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. ამ სკოლების მოსწავლეები სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებულ თსუ-საბავშვო უნივერსიტეტის სხვადასხვა დარგობრივ სკოლებში გაწევრიანდებიან და ერთობლივ ღონისძიებებში მიიღებენ მონაწილეობას.

თსუ გთავაზობთ

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: „განათლება გლობალიზაციის ეპოქაში – 21-ე საუკუნის გამოწვევები“

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პედაგოგიკის ინსტიტუტი გიწვევთ მონაწილეობის მისაღებად საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში

„განათლება გლობალიზაციის ეპოქაში – 21–ე საუკუნის გამოწვევები“

კონფერენციის ჩატარების თარიღი: 2011 წლის 9-10 დეკემბერი

დეტალები იხილეთ თსუ-ის ვებ-გვერდზე: www.tsu.edu.ge

CISCO-ს ქსელის სერტიფიცირებული სპეციალისტის კურსი (CCNA)

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი გთავაზობთ სასერტიფიკატო კურსს – “CISCO-ს ქსელის სერტიფიცირებული სპეციალისტი (CCNA)”. აღნიშნული კურსი წარმოადგენს CISCO–ს ლოკალური აკადემიის ოფიციალურ CCNA კურსს.

კურსის განმავლობაში:

• მსმენელები გაეცნობიან თანამედროვე ქსელური საინფორმაციო ტექნოლოგიების ფუნქციონირების პრინციპებს.

• შეისწავლიან CISCO მარშრუტიზატორების, კომუტატორების, უსადენო კონცენტრატორების კონფიგურირების მეთოდებს.

• პრაქტიკულად შეძლებენ კომპიუტერული ქსელის დაგეგმვასა და მონტაჟს.

• შეეძლებათ ორგანიზაციებში და კომპანიებში შექმნან იერარქიული ქვექსელები, დაშვების პოლიტიკა და განახორციელონ მათი ადმინისტრირება.

კურსის წარმატებით დასრულების შემდეგ მსმენელები მზად იქნებიან ავტორიზირებულ ტესტირების ცენტრში ჩააბარონ CCNA სასერტიფიკაციო გამოცდა.

დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ თსუ აკადემიური განვითარებისა და უწყვეტი განათლების ცენტრს.

მისამართი: თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 3, ოთახი № 320,ტელ.: 2 22 36 52, ელ-ფოსტა: tsuLLL@tsu.ge.

ტრენინგი უცხო ენების მასწავლებლებისათვის

თსუ აკადემიური განვითარებისა და უწყვეტი განათლების ცენტრი ლექსიკოგრაფიულ ცენტრთან თანამშრომლობით გთავაზობთ ტრენინგ-კურსს „ორენოვანი ლექსიკოგრაფიის მნიშვნელობა უცხო ენების სწავლებისათვის“.

კურსის მიზანია: უცხო ენის მასწავლებლებისათვის ორენოვანი აკადემიური, კომპეტენტური ლექსიკონების მნიშვნელობის გამოკვეთა ენის სწავლების პროცესში; ამ მიზნით მათთვის ბოლო ხანებში საზღვარგარეთ ჩატარებული ექსპერიმენტების შედეგების გაცნობა; ინგლისური ენის მასწავლებლებისათვის დიდი ინგლისურ-ქართული ონლაინ-ლექსიკონის პრეზენტაცია, ლექსიკონის შედგენის ლექსიკოგრაფიული პრინციპების, ლექსიკონში შეტანილი ლექსიკოგრაფიული და ენციკლოპედიური ინფორმაციის ანალიზი; ზოგადად ლექსიკოგრაფიის მნიშვნელობის მიმოხილვა, ენისა და ენობრივი კოლექტივის კულტურის რთული ურთიერთმიმართების ანალიზი, რაც ლექსიკონებშია დოკუმენტირებული, ლექსიკოგრაფიის უდიდესი საგანმანათლებლო, კულტუროლოგიური და პოლიტიკური მნიშვნელობის განხილვა.

ტრენინგში მონაწილეობა უფასოა.

გაიცემა სერტიფიკატი.

დამატებითი ინფორმაციისათვის შეგიძლიათ მოგვმართოთ აკადემიური განვითარებისა და უწყვეტი განათლების ცენტრში: თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 3, ოთახი № 320,ტელ.: 2 22 36 52, ელ-ფოსტა: tsuLLL@tsu.ge.

ქორეოგრაფიული ანსამბლი აცხადებს მოზარდთა მიღებას

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქორეოგრაფიული ანსამბლი "უნივერსიტეტი 2" აცხადებს 6–დან 14 წლამდე მოზარდთა მიღებას. შერჩევაზე გამოვლენილი საუკეთესო პრეტენდენტები ჩაირიცხებიან ქორეოგრაფიულ ანსამბლ "უნივერსიტეტი 2–ში". ქორეოგრაფი – დავით კიკვაძე (ტ: 599 515670).

მსოფლიოს ქვეყნების აუდიტორიები თსუ-ში – პოლონეთი

თსუ-ის მეორე კორპუსის კაბინეტთა რიგში არის ერთი, რომელიც თავად პოლონეთის აწ გარდაცვლილმა პრეზიდენტმა, ლეხ კაჩინსკიმ გახსნა. აქ ქართულ-პოლონური ურთიერთობის გაღრმავებაზე 2007 წლიდან აქტიურად ზრუნავენ.

2007 წელს საქართველოსა და პოლონეთის მეგობრობის ნიშნად პოლონური კაბინეტის გარდა პოლონეთის პრეზიდენტთან ერთად, ვარშავის აღმოსავლეთ ევროპის ცენტრის დირექტორი იან მალიცკი და საელჩოს წარმომადგენლები დაესწრნენ. კაბინეტი საქართველოში პოლონეთის საელჩოსთან ახლაც აქტიურად თანამშრომლობს.

მას შემდეგ პოლონურ კაბინეტში მუდმივად არის ერთი თანამშრომელი და რამდენიმე სტაჟორი.

კაბინეტის ძირითადი ფუნქციაა: ქართულ-პოლონური სამეცნიერო თანამშრომლობის ხელშეწყობა; ერთობლივი სამეცნიერო პროგრამების რეალიზება; ქართველი სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი პოლონური სამეცნიერო პროგრამების და სტიპენდიების რეკლამირება; თსუ-ის და ვარშავის უნივერსიტეტს შორის გაცლითი პროგრამის მხარდაჭერა – უნივერსიტეტებს შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, წელიწადში სამი სტუდენტი საქართველოში ჩამოდის სასწავლებლად, სამი კი პოლონეთში მიემგზავრება.

კაბინეტი საქართველოში პოლონეთიდან დაბრუნებულ ქართველებზეც ზრუნავს. იმაზე, რომ მათ ერთმანეთთან კავშირის შენარჩუნება და პოლონეთთან დაკავშირებულ ღონისძიებებში ჩართვა შესძლონ.

ერთ-ერთი ბოლო ღონისძიება იყო 2011 წლის გაზაფხულზე თსუ-ის სტუდენტებისთვის ჩატარებული საჯარო ლექციები.

პოლონელმა პროფესორებმა ლექციათა კურსი წაიკითხეს პოლონეთში სოციალური გარიყულობის, უმუშევრობისა და სხვა სოციალურ საკითხებზე. 2011 წლის ნოემბერში კი თსუ-ში ვარშავის უნივერსიტეტის პროფესორ-ეთნოლოგების ჩამოსვლაა დაგეგმილი.

პოლონური ენის კურსი, რომელიც ასევე კაბინეტის ფარგლებში ტარდება ყველა მსურველისთვისაა. კრედიტად ეს კურსი მხოლოდ იმ სტუდენტებს ეთვლებათ, ვისაც ის შესაბამისი სპეციალობის გამო აქვს არჩეული. კურსი მათთვის უფასოა. დანარჩენებისთვის კი სწავლის საფასური თვეში 40 ლარია. პოლონური ენის კურსების დამსწრეთა უმრავლესობა თსუ-ის სტუდენტია – დაახლოებით 70-80 პროცენტი. ზოგს ენის სწავლა პოლონეთში სასწავლებლად გასამგზავრებლად სჭირდება. ახალგაზრდა მეცნიერებისთვის გათვალისწინებული სასწავლო პროგრამის ერთ-ერთი მოთხოვნა პოლონური ენის მინიმალური ცოდნაა. ზოგი პოლონეთში უკვე იყო და ენას იქაური მეგობრების გამო სწავლობს. დანარჩენები კი სულაც პოლონელი წინაპრის, მაგალითად ბებიის ხათრით.

პოლონური კაბინეტის დიასახლისი 2011 წლის სექტემბრამდე ანა რადიცკა გახლდათ. იგი სპეციალობით რუსეთის და ცენტრალური კავკასიის მცოდნეა. 2008 წელს ანა პოლონური ჰუმანიტარული დახმარების კოორდინატორადაც მუშაობდა საქართველოში. პოლონური კაბინეტის ახალი წარმომადგენელი კი ქრისტოფ ლუკიანოვიჩია, რომელსაც სამაგისტრო ნაშრომი პირველი დემოკარტიული საქართველოს შესახებ აქვს დაცული.

პოლონური კაბინეტის ყველა თანამშრომელი, რომელსაც თსუ-ში აქამდე უმუშავია ან დღეისათვის მუშაობს, კავკასიასა და საქართველოსთან კონტაქტებით ამაყობს.

თსუ-ის თანამშრომელი – გერმანიიდან

კლაუდია ჰიპი ფრანკფურტიდან თბილისში ქმრის კარიერის გამო აღმოჩნდა. იურგენი GIZ (ყოფილი GTZ) საქართველოს ოფისში სამუშაოდ დაახლოებით ორი წლის წინ ჩამოვიდა. დღეს იგი თვლის, რომ მისი მეუღლის, კლაუდიას კარიერა მისაზე წარმატებული აღმოჩნდა და, ნახევრად ხუმრობით, თსუ-ში მუშაობის სურვილს გამოთქვამს.

კლაუდია თსუ-ის საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტში გერმანულ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის კოორდინატორია. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერისტეტს ევროპულ, განსაკუთრებით კი გერმანულ უნივერსიტეტებთან წარმატებული თანამშრომლობის ხანგრძლივი გამოცდილება აქვს. თსუ-ს ასევე აქვს სტუდენტთა გაცვლის პროგრამა გერმანულენოვან ინსტიტუტებთან სამართალში, ბიზნეს და საჯარო ადმინისტრირებაში. კლაუდია, კოორდინატორის სტატუსით, თსუ-ს ამ თანამშრომლობის გაღრმავებაში ეხმარება. საქართველოში ჩამოსვლამდე ფრანკფურტში სამართალს ევროპული და საერთაშორისო სამართლის სპეციალობით სწავლობდა. დღეს ამ ცოდნასაც თსუ-ში უკეთებს რეალიზებას – გერმანულ სამართალზე კითხულობს ლექციებს.

კლაუდია გრძნობს, რომ კარგად შეეჩვია აქაურ სამუშაო და საცხოვრებელ პირობებს. “მეუღლესთან ერთად საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ ჩემს ცხოვრებაში დიდი ცვლილებები არ მომხდარა. ჩვენდა გასაოცრად, ძალიან ბევრ საგანშია მსგავსება. მაგალითად იმ საკვებშიც კი, რომელიც სუპერმარკეტებშია.” – ამბობს იგი. რა თქმა უნდა, გარკვეული პრობლემებიც ჰქონდა, თუნდაც - ენის ბარიერი. მაგრამ თავისი კოლეგების დახმარებით, ყოველდღიურ ცხოვრებაში ამ პრობლემას ადვილად აგვარებს. პარალელურად ქართულის გაკვეთილებზე დადის. “ქართული ენაც მომწონს და დამწერლობაც, მაგრამ ჩემთვის იგი კვლავ ერთგვარ გამოწვევად რჩება. ცოტა რთულია ამდენი ახალი სიტყვის სწავლა, რომელსაც ჩემთვის უჩვეულო ჟღერადობა აქვს”. – ამბობს კლაუდია.

მისი თანამშრომლები კლაუდიას კომუნიკაბელურობის გარდა სხვა დადებით თვისებაზეც საუბრობენ. უშუალო უფროსი მას “ზენაყოფიერების” გამო ემადლიერება და აღნიშნავს, რომ საკუთარი საქმით გატაცებული გერმანელი თანამშრომელი იმაზე ბევრად მეტს მუშაობს, რაც ევალება. კლაუდია უკვე წელიწადნახევარია რაც საქართველოშია და სულ მცირე 2012 წლამდე აპირებს დარჩენას. როგორც თავად ამბობს, უნივერსიტეტში მუშაობა მისთვის ძალზე სასიამოვნო აღმოჩნდა. დარწმუნებულია, რომ საქართველოში და თსუ-ში გატარებული დრო და აქ მიღებული გამოცდილება მისთვის ღირებული შენაძენი იქნება.

პირველი საერთაშორისო სიმპოზიუმი „კავკასია, კონფლიქტი, კულტურა“



2011 წლის 31 ოქტომბრიდან 5 ნოემბრამდე ტარდება ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ეთნოლოგიის ინსტიტუტისა და მარბურგის ფილიპსის უნივერსიტეტის სოციალური და კულტურული ანთროპოლოგიის დეპარტამენტის მიერ ორგანიზებული პირველი საერთაშორისო სიმპოზიუმი „კავკასია, კონფლიქტი, კულტურა“, რომელიც ეხება სამხრეთ კავკასიაში არსებული კონფლიქტების პრევენციასა და ანთროპოლოგიას. სიმპოზიუმი გაიმართება ქვეთევან წამებულის გამზირ 55 მდებარე უნივერსიტეტის კორპუსში. სიმპოზიუმის მსვლელობის პარალელურად იმუშავებს სტუდენტთა სამუშაო ჯგუფები.

გაზეთი მომზადდა თსუ საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ. საკონტაქტო ინფორმაცია – ტელ: 2 22 23 91; ელ.ფოსტა: tsupr@tsu.ge; ვებ-გვერდი: www.tsu.edu.ge